გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

1. შესავალი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩოჩხათში, საფეხმავლო ხიდის მოწყობისა და მისასვლელი გზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია შ.პ.ს. "ვეგა+"-ს მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან 2021 წლის 05 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №105 ხელშეკრულების საფუძველზე. შ.პ.ს. "ვეგა+"-ს მიერ ჩატარდა სათანადო საკვლევაძიებო ტოპო-გეოდეზიური, საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, ვიზუალური დათვალიერებისა და აზომვითი სამუშაოები.

სამუშაოები ჩატარებულია მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად «СНиП 2.05.03-84. Мосты и трубы. Нормы проектирования», «СНиП III-43-75. Мосты и трубы. Правила производства и приемки работ» და სხვა.

პროექტის მიზანია აღნიშნულ მონაკვეთზე საფეხმავლო ხიდის მშენებლობა.

2. არსებული სიტუაციის დახასიათება

აღნიშნულ მონაკვეთზე დღეისათვის გადაადგილება შეზღუდულია, ვინაიდან არსებული ხიდი ამორტიზირებულია და ექვემდებარება დემონტაჟს. არსებული სიტუაციდან გამომდინარე აუცილებელია ახალი საფეხმავლო ხიდის მშენებლობა.

3. რაიონის ბუნებრივი პირობები

რაიონის კლიმატი მშრალი, ზომიერად გრილი, კლიმატური მონაცემები აღებულია რაიონის კლიმატური პირობების შესახებ **ᲡᲜ 01.05-08 ("სამშენებლო კლიმატოლოგია")**. კლიმატური ქვერაიონი IIIᲑ.

1.	ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა	-20
2.	ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა	+39
3.	ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა	+13,8
4.	ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში	78%
5.	ნალექების რაოდენობა წელიწადში	1980 მმ
6.	ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში	250 მმ
7.	ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში	824 მმ
8.	თოვლის საფარის წონა	0.5 კპა
9.	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	14

10. ქარის მახასიათებლები, ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი

წელიწადში ერთხელ	27 მ/წმ
5 წელიწადში ერთხელ	32 მ/წმ
10 წელიწადში ერთხელ	34 მ/წმ
15 წელიწადში ერთხელ	35 მ/წმ
20 წელიწადში ერთხელ	36 მ/წმ

11. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები:

5 წელიწადში ერთხელ	0.6 კპა
15 წელიწადში ერთხელ	0.73 კპა

12. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე ყველა სახის გრუნტებისთვის 0 სმ

გეოგრაფიულად საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. მეტეოსადგურის მდებარეობა (უახლოესი მეტეოსადგური „ლანჩხუთი“) სიმაღლე ზღვის დონიდან 29მ.

უბნის სეისმურობად **პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“**-ს მიხედვით მიღებულ იქნას **(სკალა MSK64)** 7 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.11.

სიმაღლეთა პირობითი ნიშნულები სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარედ იცვლებიან 20.0-23.5 მ-ის ფარგლებში.

4. საპროექტო გადაწყვეტილება

საპროექტო ნაგებობა წარმოადგენს ერთ მალიან, N30B2 ფოლადის 2 კოჭით მოწყობილი 12 მეტრიანი მალით, მეტალის კონსტრუქციის ხიდს, მეტალის სავალი ნაწილით.

ხიდის ბურჯები მცირე ჩაღრმავების, მონოლითური რ/ბეტონის.

გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის პირობები მოცემულია მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შესაბამის თავებში.

შეადგინა: ლ. იმედაძე